ჩვენი გუნდების ფრე

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 15 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) - “ტორპედო” (ქუთაისი) 1:1 (0:1).

“ტორპედო”: ურუშაძე, ლოსაბერიძე, თორაძე, ოდიკაძე, სარჯველაძე, ნიშნიანიძე, სირაძე, ხუნდაძე (სიამაშვილი), ჩხარტიშვილი, ხაჟალია, ბულია.

“დინამო”: კოტრიკაძე, სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მეტრეველი, დათუნაშვილი, კალოევი (პეტრიაშვილი), მელაშვილი, მესხი.

მსაჯი: კ. დემჩენკო (მოსკოვი).

ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა დინამოელებს დასაწყისშივე ჰქონდათ: ეს იყო სწრაფი შეტევა, როცა იამანიძემ კარგად გადაუგდო ბურთი თავისუფლად მყოფ კალოევს. მაგრამ ცენტრფორვარდმა ზედმეტი დრო დახარჯა ბურთის დასამუშავებლად, რაც საკმარისი იყო ამ მეტად სახიფათო მომენტის ლიკვიდირებისათვის. ლოსაბერიძემ მოასწრო ბურთის მოგერიება.

სამაგიეროდ, გაცილებით უფრო გაბედულად, გადაჭრით იმოქმედა ქუთაისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა სირაძემ მოწინააღმდეგის კარის წინ. მან მიიღო გადაცემა ხაჟალიასაგან და ხურცილავასთან ბრძოლაში ძლიერი დარტყმით გააგზავნა ბურთი კარში. თბილისელთა საჯარიმო მოედანზე “დინამოს” 4 მცველი და “ტორპედოს” 2 ფორვარდი იმყოფებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელთა აგრესიულობამ და სისწრაფემ რთული ეპიზოდი ქუთაისელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა - 1:0.

ტაიმის დამთავრებამდე დრო საკმარისზე მეტი იყო დარჩენილი, დაახლოებით 35 წუთი. მასპინძლებს იგი მაქსიმალურად უნდა გამოეყენებინათ წონასწორობის აღდგენისათვის, მაგრამ ტორპედოელები ენერგიულად, კოლექტიურად მოქმედებდნენ თავიანთ საჯარიმო მოედანზე და, როგორც წესი, ახერხებდნენ საშიშროების ლიკვიდირებას.

მეორე ტაიმის დასაწყისში დინამოელთა შეტევა წამოიწყო მეტრეველმა. სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში მან რამდენიმე უაღრესად დაძაბული მომენტი შექმნა “ტორპედოს” კართან და ურუშაძეს მთელი დატვირთვით მოუხდა თამაში. მაინც მე-9 წუთზე იგი უძლური იყო აეღო იამანიძის მიერ საუკეთესოდ დარტყმული ბურთი. მესხის მიერ დაწყებული კომბინაცია გააგრძელა კალოევმა და საბოლოოდ დაამთავრა იამანიძემ - 1:1.

ანგარიშის შენარჩუნება ქუთაისელებს სავსებით უწყობდა ხელს, ამიტომ მათ დაცვის გაძლიერებული ზონა შექმნეს შუა მინდორში, რომლის გავლა “დინამოს” თავდასხმისათვის შეუძლებელი აღმოჩნდა. მართალია 37-ე წუთზე მათი კარი ბეწვზე ეკიდა - მარჯვნიდან მოწოდებული კუთხურის შემდეგ მესხმა ზუსტად დაარტყა კარისაკენ და აქ ზედ ხაზზე აღმოჩნდა ლოსაბერიძე, რომელმაც იხსნა გუნდი აშკარა გოლისაგან.

დარჩენილ დროში ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა - 1:1.

ნ. ჩხეიძე.

“ლელო”, 16 ოქტომბერი, 1963 წ.